უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

„ფიზიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი

28 ნოემბერი, 2022

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშისშეფასებისპრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი ავთანდილ

გვარი თავხელიძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი	
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158	

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ფიზიკა	
2	უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების III საფესური, დოქტორანტურა	
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მე-8 დონე	
4	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკის დოქტორი	
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	ფიზიკა - 0533	
7	სწავლების ენა	ქართული	
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	60	
9	განხორციელების ადგილი[5]	საქართველო. 6010. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის	

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

		ქ. №35/32 უნივერსიტეტის II კორპუსი.	
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაცია რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით 2021 წლის 9 ნოემბერი, №1205350	
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	9 ნოემბერი, 2021 წ.	
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	9 ნოემბერი, 2022 წ.	
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	01/07/2027	

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამი სმიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	✓			
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	✓			
5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები		✓		

შესასრულებელირეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

2. რეკომენდებულია პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების დაშვების ნაწილში წინაპირობად განისაზღვროს ქართული ენა B2 დონე.

3. რეკომენდებულია რიგი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების გადახედვა და რეფორმულირება მათი გაზომვადობის და მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

4. რეკომენდირებულია სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დოქტორანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება.

5. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ბიუჯეტში ჩაშლილი იყოს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები.

6. რეკომენდირებულია, რიგი კურსებისთვის დამუშავდეს რუბრიკები და შეფასების კრიტერიუმები, ასევე უნდა გაიწეროს სადოქტორო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები;

7. რეკომენდირებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მოახდინოს აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით განხორციელებული კვლევებისა და აქტივობების, ასევე, მიღებული შედეგების ანალიზის ფორმალიზება (დოკუმენტურადაც იყოს დადასტურებული);

8. პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების ეფექტურად განხორციელებისა და პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების შედეგების გამოიყენების მიზნით, უნდა მოხდეს

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

გამოკვლეული ინფორმაციის ფორმალიზება/დოკუმენტირება და მიღებული შედეგების დამუშავება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 9 ნოემბრის №205350 გადაწყვეტილებით სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის, „ფიზიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულების მიზნით ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 მაისის № 01-06/31 დადგენილებით შექმნილმა „ფიზიკის“ სადოქტორო პროგრამის სამუშაო ჯგუფის წევრებმა გაინაწილეს პასუხისმგებლობის სფეროები და შეიმუშავეს პროგრამაში შესატანი ცვლილებების პროექტი, პროგრამაში ჩართული პერსონალის მონაწილეობით.

პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდა თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, რისთვისაც კიდევ ერთხელ შესწავლილი იქნა შრომის ბაზრის ტენდენციები 2016-2021 წლებში. შრომის ბაზრის ანალიზისათვის გამოყენებული იქნა სხვადასხვა ორგანიზაციების, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების, აგრეთვე დამსაქმებელთა ინტერვიუების შედეგები. რეფორმულირებული იქნა პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები გაზომვადობისა და მიღწევადობის მიზნით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის განისაზღვრა ქართული ენა B2 დონე.

ცნობად იქნა მიღებული რეკომენდაცია „სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დოქტორანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება“, რასაც მუშაობის პროცესში გაითვალისწინებენ სადოქტორო პროგრამაში ჩართული პირები.

უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის მიერ შემუშავებული იქნა პროგრამული ბიუჯეტის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

სასწავლო კურსებისთვის შემუშავდა შეფასების დეტალური რუბრიკები და კრიტერიუმები, რაც აისახა სასწავლო კურსების სილაბუსებში.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გადამუშავდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, ცალკეული შედეგისთვის განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები, შეფასების მეთოდები და შეფასების განხორციელების (ანალიზის) ვადები.

ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ბსუ-ს აკადემიურმა საბჭომ 2022 წლის 4 ნოემბერს მიიღო №06-01/131 დადგენილება „ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების

---

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

ფაკულტეტის „ფიზიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

რჩევ(ებ)ი[8]

1 სასურველია უზრუნველყოფილ იქნეს სადოქტორო ნაშრომების გაფორმების წესების სრულყოფილად დაცვა.

2. სასურველია გამოიკვეთოს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები და ანალიზი მოცემულ პროგრამასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[9]

სტანდარტის დასახელება[10]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[11]	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია 1	რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია:** განხორციელდა დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა. შემუშავდა ელექტრონული კითხვარი და დაეგზავნა პოტენციურ დამსაქმებლებს (40 ორგანიზაცია). ხელმეორედ გაანალიზდა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები. გამოიკვეთა ფიზიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე კადრებზე მოთხოვნა, არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არამედ დასაქმების ისეთ სფეროებში, როგორიცაა თავდაცვა და უსაფრთხოება, სამედიცინო სფერო და სხვა. შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი ადასტურებს საქართველოში ელექტრომაგნიტური უსაფრთხოების საკითხების შესწავლისა და იმპლემენტაციის საჭიროებას.

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)
[9]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[10]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[11]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

	შესაბამისად, დოქტორანტების სამეცნიერო კვლევითი პროექტები დაიგეგმება და მიმართული იქნება რადიო-პელენგაციის, რადიონავიგაციის, ატმოსფეროს დიაგნოსტიკის, სამედიცინო ვიზუალიზაციის, და სხვა მიმართულებათა პრობლემატიკის შესწავლისა და გადაწყვეტისკენ. კვლევის შედეგების საფუძველზე მოხდა სწავლის შედეგების რეფორმულირება და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: **1. ცოდნა და გაცნობიერება** 1.1. ახდენს ცოდნის კლასიფიცირებას მიკრო, ნანო და ფემტო ტალღების მიღების, გავრცელების, გამოყენების, მათი ცოცხალ და/ან არაცოცხალ მატერიაზე ურთიერთ ზეგავლენის, მატერიის მახასიათებელი სტატისტიკური პარამეტრების ევოლუციური ცვლილებების და სხვ. უახლესი მიღწევების შესახებ, ასახავს მათ სამეცნიერო კვლევით შრომებში, მათ შორის რეფერირებად/რეცენზირებად პუბლიკაციებში, კრიტიკული გააზრების, ნაწილობრივ გადაფასებისა და ინოვაციური მეთოდების შემუშავების გზით. 1.2. ახდენს იდენტიფიცირებას სწავლება–სწავლის თანამედროვე მიმართულებების, კვლევის მეთოდების და სტრატეგიების, შეფასების თანამედროვე პრინციპებისა და კრიტერიუმების შესახებ; აცნობიერებს არსებული ცოდნის გაფართოებისა და გადაფასების, სისტემური და კრიტიკული გააზრების საჭიროებას ისეთ სამეცნიერო მიმართულებებში, როგორიცაა: რადიო პელენგაცია, რადიო ნავიგაცია, ატმოსფეროს მონიტორინგი, დიაგნოსტიკა და ელექტრომაგნიტური უსაფრთხოება, სამედიცინო ვიზუალიზაცია, განახლებადი ენერგეტიკა, ციფრული კავშირგაბმულობა და სხვა. **2. უნარი** 2.1. გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობას უწევს ინოვაციურ კვლევებს რადიო პელენგაციის, რადიო ნავიგაციის, ატმოსფეროს მონიტორინგის, დიაგნოსტიკის და ელექტრომაგნიტური უსაფრთხოების, სამედიცინო ვიზუალიზაციის, განახლებადი ენერგეტიკის, ციფრული კავშირგაბმულობის და სხვ. მიმართულებებში საერთაშორისო რეფერირებადი

	პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე. 2.2. აანალიზებს რთულ და წინააღმდეგობრივ იდეებს და იღებს ეფექტურ გადაწყვეტილებებს არგუმენტირებული დასკვნების საფუძველზე. 2.3. შეიმუშავებს/განავითარებს ახალ მეთოდოლოგიურ მიდგომებს და ეფექტურად გადასცემს პროფესიულ საზოგადოებას მათ შორის უცხო ენაზე. **3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** 3.1. ახორციელებს და ნერგავს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევით პროექტებს, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ინოვაციური, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით; წარმართავს საკუთარი და სხვების პროფესიულ საქმიანობას, განვითარებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს ან/და საგანმანათლებლო საქმიანობას დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით.
რჩევა[12]I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	დანართი 1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №06-01/131 დანართი 2. საგანმანათლებლო პროგრამა დანართი 4. შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
კომპონენტის დასახელება	2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	
რეკომენდაცია 2	რეკომენდებულია პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების დაშვების ნაწილში წინაპირობად განისაზღვროს ქართული ენა B2 დონე.	
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია:** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 4 ნოემბრის №06-01/131 დადგენილებით და აკრედიტაციის საბჭოს	

[12]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	რეკომენდაციების გათვალისწინებით, სადოქტორო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების დაშვების ნაწილში წინაპირობად განისაზღვრა ქართული ენა B2 დონე.	
რჩევა[13]II		
შეფასება		
მტკიცებულებ(ები)ა	დანართი 1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №06-01/131 დანართი 2. საგანმანათლებლო პროგრამა	

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
კომპონენტის დასახელება	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	
რეკომენდაცია 3	რეკომენდებულია რიგი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების გადახედვა და ფორმულირება მათი გაზომვადობის და მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.	
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია:** აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების გათვალის-წინებით, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 4 ნოემბრის №06-01/131 დადგენილებით რეფორმულირებული იქნა სწავლის შედეგები მათი გაზომვადობის და მიღწევადობის უზრუნველსაყოფად პროგრამის თანმხლებ სილაბუსებში: • წყლიანი გარემოს დიაგნოსტიკა ლაზერული სპექტროსკოპიის მეთოდით; • სიგნალები დისპერსიულ არაერთგვაროვან გარემოში; • მზისა და ამინდის რადიოფიზიკა; • გაბნეული ელექტრომაგნიტური ტალღების სტატისტიკური მახასიათებლების შესწავლა ტურბულენტურ ანიზოტროპულ დაჯახებად პლაზმურ გარემოში;	

[13]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	• თანამედროვე მაგნიტოოპტიკა; • თანამედროვე ფიზიკის ექსპერიმენტული მეთოდები.	
რჩევა[14]II		
შეფასება		
მტკიცებულებ(ები)ა	დანართი 1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №06-01/131 დანართი 3. სილაბუსები	

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია 4	რეკომენდირებულია სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დოქტორანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხო ენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება.
შეფასება	ცნობად იქნა მიღებული: ცნობად იქნა მიღებული რეკომენდაცია „სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დოქტორანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება“, საანგარიშო პერიოდში სადისერტაციო ნაშრომის დაცვა არ მომხდარა. ამდენად, რეკომენდაცია მუშაობის პროცესში სადოქტორო პროგრამაში ჩართული პირების მიერ გათვალისწინებული იქნება.
რჩევა[15]II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	

[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

კომპონენტის დასახელება	4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	
რეკომენდაცია 5	მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ბიუჯეტში ჩაშლილი იყოს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები.	
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია:** ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის №07-01/63 გადაწყვეტილებით დამტკიცდა ბსუ-ს 2022 წლის ბიუჯეტი, რომელსაც წინა წლებისგან განსხვავებით აქვს პროგრამული ხასიათი. მასში გათვალისწინებულია ბსუ-ს ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენ-ტრის, არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გა-ნხორციელების მატერიალურ-ტექნიკური და ფინან-სური მხარდაჭერა; სამეცნიერო კვლევების განხორციე-ლების სტიმულირება. პროგრამა მოიცავს ქვეპროგრა-მებს, რომლის მიზანია ფაკულტეტების მხარდაჭერა. ქვეპროგრამის (ფაკულტეტების) ბიუჯეტით, რომლის ნაწილიცაა საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, გათვალისწინებულია ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის მექანიზმები.	
რჩევა[16]II		
შეფასება		
მტკიცებულებ(ები)ა	დანართი 5. ბსუ ბიუჯეტი 2022 წ.	

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
კომპონენტის დასახელება	სტუდენტების შეფასება	
რეკომენდაცია 6	რეკომენდირებულია, რიგი კურსებისთვის დამუშავდეს რუბრიკები და შეფასების კრიტერიუმები, ასევე უნდა გაიწეროს სადოქტორო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები.	
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია:** აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების გათვალის-წინებით, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 4 ნოემბრის №06-01/131 დადგენილებით ფიზიკის	

[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში დაკონკრეტდა სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები: ნაშრომის სტრუქტურული გამართულობა (ნაშრომის სტრუქტურის შესაბამისობა დადგენილ ნორმებთან) – 10 ქულა; 1. ნაშრომის ტექნიკური მხარე (ნაშრომის ტექნიკური გამართულობა, ნაშრომის გრამატიკული გამართულობა, ციტირება-რეფერირების ტექნიკის დაცვა) - 10 ქულა; 2. საკვლევი თემის აქტუალობა და მნიშვნელობა (სიახლე, ნაშრომის სამეცნიერო ღირებულება, ნაშრომის ფუნდამენტური/ გამოყენებითი) - 10 ქულა; 3. ლიტერატურის ვალიდურობა (გამოყენებული ლიტერატურის ავტორიტეტულობა და სიახლე, გამოყენებული ლიტერატურის მჭიდრო კავშირი საკვლევ თემატიკასთან)-10 ქულა; 4. კვლევის მეთოდოლოგია (კვლევის მეთოდოლოგიის რელევანტურობა ნაშრომის მიზნებთან და ამოცანებთან) - 10 ქულა; 5. შედეგების ანალიზი და დასაბუთება (სიახლის დასაბუთება, არგუმენტირებული დასკვნები; ანალიზის სიღრმე, ნაშრომის რელევანტურობა სადოქტორო ნაშრომის მიზნებთან და ამოცანებთან) – 30 ქულა; 6. ნაშრომის საჯარო დაცვა (კითხვებზე პასუხების ადეკვატურობა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, დასმულ შეკითხვებზე არგუმენტირებული და სათანადო პასუხის გაცემა, პრეზენტაციის ტექნიკა, პრეზენტაციის დროის მართვა) - 20 ქულა; დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული. მიღებული ქულობრივი შეფასების მიხედვით განისაზღვრება სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის საბოლოო შეფასება: მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად ასევე, ცალკეულ სასწავლო კურსების სილაბუსებში დაზუსტდა შეფასების დეტალური რუბრიკები, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების გაზომვადი კრიტერიუმები. აღნიშნული ცვლილებები განხორციელდა შემდეგ სილაბუსებში:	

	• წყლიანი გარემოს დიაგნოსტიკა ლაზერული სპექტროსკოპიის მეთოდით; • სიგნალები დისპერსიულ არაერთგვაროვან გარემოში; • მზისა და ამინდის რადიოფიზიკა; • გაბნეული ელექტრომაგნიტური ტალღების სტატისტიკური მახასიათებლების შესწავლა ტურბულენტურ ანიზოტროპულ დაჯახებად პლაზმურ გარემოში; • თანამედროვე მაგნიტოოპტიკა; თანამედროვე ფიზიკის ექსპერიმენტული მეთოდები.	
რჩევა[17]II		
შეფასება		
მტკიცებულებ(ები)ა	დანართი 1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №06-01/131 დანართი 2. პროგრამა დანართი 3. სილაბუსები	

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
კომპონენტის დასახელება	5.1. შიდა ხარისხის შეფასება	
რეკომენდაცია 7	რეკომენდირებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მოახდინოს აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით განხორციელებული კვლევებისა და აქტივობების, ასევე, მიღებული შედეგების ანალიზის ფორმალიზება (დოკუმენტურადაც იყოს დადასტურებული);	
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია:** ფიზიკის სადოქტორო პროგრამასთან მიმართებაში ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაუწია კოორდინაცია დამსაქმებელთა, პოტენციურ დამსაქმე-ბელთა და კურსდამთავრებულთა კვლევებს. კვლევის შედეგებმა აჩვენა ფიზიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე კადრებზე მოთხოვნა, არა მხოლოდ	

[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არამედ დასაქმების ისეთ სფეროებში, როგორიცაა თავდაცვა და უსაფრთხოება, სამედიცინო სფერო და სხვა. კვლევის შედეგების გაანალიზების საფუზველზე დაიგეგმა, რომ სამეცნიერო კვლევითი პროექტები განხორციელდება რადიოპელენგაციის, რადიონავიგაციის, ატმოსფეროს დიაგნოსტიკის, სამედიცინო ვიზუალიზაციის, არქეოასტრონომიისა და სხვა მიმართულებებში. კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე მოხდა გამოკვლეული ინფორმაციის დოკუმენტირება.	
რჩევა[18]II		
შეფასება		
მტკიცებულებ(ები)ა	დანართი 4. შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი	

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
კომპონენტის დასახელება	5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	
რეკომენდაცია 8	პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების ეფექტურად განხორციელებისა და პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების შედეგების გამოყენების მიზნით, უნდა მოხდეს გამოკვლეული ინფორმაციის ფორმალიზება/დოკუმენტირება და მიღებული შედეგების დამუშავება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.	
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია:** „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების	

[18]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის №06-01/54 დადგენილებით რეგულირდება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მექანიზმები. ფიზიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გუნდის მიერ შემუშავდა სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ამა თუ იმ სწავლის შედეგის შეფასების მაჩვენებლების შეგროვებას/ანალიზს და დადარებას წინასწარ დადგენილ სამიზნე ნიშნულთან, სასწავლო წლის ბოლოს [4, 5]. დაკვირვების პროცესის დაგეგმვის და განმახორციელებელი პერსონალის წინასწარ ინფორმირებულობის მიზნით ბსუ-ს ელექტრონულ სერვისებს დაემატა „აკადემიური დასწრების“ ველი, სადაც ინტეგრირებულია დაკვირვების კრიტერიუმები და უკუკავშირის ფუნქცია. (https://portal.bsu.edu.ge/). ელექტრონული სისტემით ხორციელდება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა (https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html,https://-portal.bsu.edu.ge/). საანგარიშო პერიოდში განხორციელებული შეფასების შედეგების გაანალიზების შედეგად დადგინდა პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, მოხდა პროგრამის გასაუმჯობესებლად კონკრეტული აქტივობების (ცვლილება პროგრამაში, სილაბუსში, ლიტერატურის განახლება, სწავლებისა და შეფასების მეთოდების სრულყოფა და მოდერნიზება, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის განმავითარებელი შეხვედრების ორგანიზება, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება) დაგეგმვა-განხორციელება და დოკუმენტირება [5].	
რჩევა[19]II		
შეფასება		
მტკიცებულებ(ები)ა	[1]. დანართი 6. „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის №06-01/54 დადგენილება; [2]. დანართი 7. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის N10 გადაწყვეტილება საჯარო	

[19]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების“ დამტკიცების შესახებ; [3]. დანართი 8. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“; [4]. დანართი 9. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; [5]. დანართი 10. სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შესრულებული კვლევებისა და აქტივობების ანალიზი. ოქმი N23-21/15.	

ექსპერტის ხელმოწერა